საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის ხელშეწყობით და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელებით, აგრეთვე პროფესიული განვითარებისკენ მიმართული პროგრამების ორგანიზებით:

სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ჩატარდა 66 დასახელების სასწავლო თუ ტრენინგ კურსი და გადამზადდა 1584 მონაწილე.

ახალი კადრების შერჩევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზებით:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტების სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე შესარჩევ კონკურსებზე პროფესიული მიმართულების, ზოგად უნარებსა და ინგლისურ ენაში ტესტირება ჩაუტარდა 1095 კანდიდატს **(27 ტესტირება).**
- სხვა დაინტერესებული პირების კანდიდატებს ჩაუტარდათ ტესტირება/გასაუბრება, ამასთანავე ჩატარდა აკადემიის სასწავლო კურსების სასერტიფიკატო გამოცდები **(სულ 290 კანდიდატი, 17 ტესტირება)**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზებით:

- სახელმწიფო ფინანსების მართვისა და საჯარო სექტორში აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში IPSAS აღრიცხვა/ანგარიშგების საერთაშორისო სტანდატრების საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგვის მიზნით გადამზადდა - 139 მონაწილე, ხოლო 2024 წლისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოების ხაზინის მომსახურებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით გადამზადებულია 1065 მონაწილე
- 2020-21 წლებში სკოლებსა და რესურსცენტრებში განხორციუელებული რეფორმის ფარგლებში გამოვლინდა ბუღალტრების ახალი საჭიროებები და შეიქმნა სპეციალიზებული პროგრამები, კერძოდ: „სახელმწიფო შესყიდვები საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საგადასახადო კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ინვენტარიზაციის ჩატარების და ქონების ჩამოწერის პროცედურები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“. გადამზადდა - 1371 მონაწილე.
- შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების მიზნით დაწყებული რეფორმის ფარგლებში გადამზადებულია 20 მონაწილე.

კერძო სექტორის განვითარებისა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო-შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება:

საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის, კერო სექტორის წარმომადგენლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის განხორციელდა **89** დასახელების სამუშაო შეხვედრა, საჯარო ლექცია,

სასწავლო თუ ტრენინგ კურსი, გადამზადდა ჯამში **4 101** მონაწილე.

<u>პროფესიული ცოდნის დონის ასამაღლებლად, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებსა და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდის სამეფოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში:</u>

- OECD-ის წარმომადგენლებთან ერთად, მსოფლიო ბანკის, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტისა და კერძო სექტორის მონაწილეობითჩატარდა სამუშაო შეხვედრები (**53 მონაწილე.**
- ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტთან თანამშრომლობით ეგვიპტის საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა „ფისკალური გამჭირვალობის და საჯარო ჩართულობის კონკრეტული გაუმჯობესებების იდენტიფიცირება“ (**17 მონაწილე).**
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლობით, საგრანტო პროექტის მდგრადობის შესანარჩუნებლად შერჩეული საჯარო მოხელეებისთვის ჩატარდა GRB-ს თემაზე ტრენინგების სერიის დასკვნითი ნაწილი (**15 მონაწილე).**
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ორგანიზებითა და GIZ დაფინანსებით აკდემიის თანამშრომლებმა კიშინიოვში, მოლდოვის საჯარო მმართველობის ინსტიტუტის ტრენერებისთვის ჩაატარეს ტრენინგი თემაზე: „ტრენერთა ტრენინგი კემბრიჯის მეთოდოლოგიით“ (**15 მონაწილე).**
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და UN Women-ს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ქალი მეწარმეებისთვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი თემაზე: „დაიწყე საკუთარი ბიზნესი" (**96 მონაწილე).**

სტუდენტების უნარების განვითარება დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. სასწავლო კურსების განხორციელება სტუდენტურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით:

- სტუდენტების უნარების განვითარება დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. სასწავლო კურსების განხორციელება სტუდენტურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით: სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში ფინანსების მართვისა და მონაცემთა შედგენა, ანალიზი, შეფასება ექსელში პროექტებში ჩართულია **36 მონაწილე.**

დასახული საბოლოო შედეგები:

1. ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;
2. ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;
3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით / ტრენინგებით;
4. საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული

მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;

5. საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.
6. სტუდენტები გათვითცნობიერებულნი არიან შესაბამისი მიმართულების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებსა და ტექნიკებში.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

1. ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;
2. ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;
3. ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით/ ტრენინგებით;
4. საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;
5. საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.
6. სტუდენტები გათვითცნობიერებულნი არიან შესაბამისი მიმართულების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებსა და ტექნიკებში.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა**

   საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1141 თანამშრომელი

   მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის 5%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

   ფაქტიური შედეგი - 2023 წელს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გადამზადდა 1 584 თანამშრომელი; გადამზადებული კადრების რაოდენობა <u>გაიზარდა 28%-ით.</u>

2. **სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობა**

   საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 16 ტესტირება

443 აპლიკანტისათვის.

მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობის 1%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით

ფაქტიური შედეგი - 2023 წელს აკადემიის ორგანიზებით განხორციელდა 44 ტესტირება 1 385 აპლიკანტისათვის. <u>ტესტირებების რაოდენობა გაიზარდა 63.6%-ით.</u>

3. **ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ფარგლებში გადამზადებული პირების რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს აკადემიაში გადამზადდა 3351 დაინტერესებული ადამიანი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული პირების რაოდენობის 1%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

ფაქტიური შედეგი - 2023 წელს აკადემიაში გადამზადდა 2 595 დაინტერესებული ადამიანი; რეფორმის გადამზადებული კადრების რაოდენობა შემცირდა 29.1%-ით.
შენიშვნა: რაოდენობის შემცირება გამოწვეულია ადამიანური რესურსის სიმცირით.

4. **გადამზადებული დაინტერესებული პირების (მათ შორის, ფიზიკური პირები, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები) რაოდენობა**
საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს აკადემიაში გადამზადდა 3541 დაინტერესებული პირი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული პირების რაოდენობის 2%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.
ფაქტიური შედეგი - 2023 წელს აკადემიაში გადამზადდა 4 101 დაინტერესებული ადამიანი; საჯარო და კერძო სექტორისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა ***გაიზარდა 13.7%-ით.***

5. **საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 477 პირი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობის 1%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

ფაქტიური შედეგი - 2023 წელს აკადემიაში საერთაშორისო/უცხოური ინსტიტუციებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 196 პირი.
გადამზადებულ პირთა რაოდენობა **შემცირდა 143.4%-ით.**
შენიშვნა: რაოდენობის შემცირება გამოიწვია IMF-ის საერთაშორისო კურსების გაუქმებამ,

აკადემიისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

6. **სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელებულ პროექტებში მონაწილეთა რაოდენობა**

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს აკადემიაში **სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით** გადამზადდა 160 პირი.

მიზნობრივი მაჩვენებელი - **სტუდენტურ ორგანიზაციებთან** ერთად განხორციელებული პროექტებში მონაწილეთა რაოდენობის 1%-იანი ზრდა წინა წლის ფაქტიურ მონაცემებთან შედარებით.

ფაქტიური შედეგი - 2023 წელს აკადემიაში სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადამზადდა 36 პირი.

გადამზადებულ პირთა რაოდენობა **შემცირდა 344%-ით.**

შენიშვნა: რაოდენობის შემცირება გამოიწვია აკადემიის ადამიანური რესურსის სიმცირემ, ასევე სტუდენტურპროექტებში პოტენციური მონაწილეების ნაკლებლ აქტიურობამ.